



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ



ხარაგაული

2020 წელი

მოგესალმებით პატივცემულო კოლეგებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

მინდა წარმოგიდგინოთ 2020 წლის განმავლობაში ჩემ მიერ, როგორც თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელის, ამავე დროს, საკრებულოს წევრის და ზოგადად, საკრებულოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „ევროპული ქარტიის“, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

განვლილ პერიოდში მე, როგორც საკრებულოს ხელმძღვანელი, ვცდილობდი სამართლიანობის, ადამიანური ღირებულებების დანერგვის სურვილითა და მაქსიმალური კომპეტენციით მიმეღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებისათვის შექმნიდა ისეთ სერვისებს, რაც მათ კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული.



საკრებულოს სხდომები

მუნიციპალიტეტის საკრებულომ საანგარიშო პერიოდში გამართა 22 სხდომა. აქედან 12 მორიგი და 10 რიგგარეშე. სხდომებზე განვიხილეთ 78 საკითხი. მივიღეთ 23 დადგენილება

და 55 განკარგულება. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ვუძღვებოდი ყველა ჩატარებულ სხდომას. ასევე საანგარიშო პერიოდში ჩემ მიერ გამოიცა 211 ბრძანება.

ბიურო

საკრებულოს ბიურო შედგება 13 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები. ბიურო საანგარიშო პერიოდში შეიკრიბა 28-ჯერ და განიხილა 78 საკითხი.



კომისიები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს 5 კომისიის მეშვეობით.

1. განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-თავმჯდომარე დავით კიკნაძე.

2. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია-თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილი.
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-თავმჯდომარე პავლე კიკალიშვილი.
4. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე.
5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-თავმჯდომარე გივი თხელიძე.



ფრაქციები

როგორც მოგეხსენებათ საკრებულო წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ძირითად პოლიტიკურ ორგანოს და აქედან გამომდინარე კანონი უშვებს საკრებულოს ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას. ფრაქციის შექმნის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს წევრთა საერთო-პოლიტიკური შეხედულებანი. დღეის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 6 ფრაქცია:

1. ფრაქცია-„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე.
2. ფრაქცია-„ქართული ოცნება-მწვანეები“-თავმჯდომარე აკაკი ლურსმანაშვილი.
3. ფრაქცია-„ქართული ოცნება-მრეწველები“-თავმჯდომარე იუზა კელენჯერიძე.

4. ფრაქცია-„ქართული ოცნება-კონსერვატორები“-თავმჯდომარე გივი თავზარაშვილი.
5. ფრაქცია-„თვითმართვებლობა ხალხისათვის“-თავმჯდომარე ინგა მალრაძე.
6. ფრაქცია- „ძალა ერთობაშია“ს-თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი.



წევრები

საკრებულოს წევრები საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობისა და რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს წევრთა ერთ-ერთ და უპირველეს მოვალეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრება და გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს. უნდა ითქვას რომ დაგეგმილი სხდომებიდან ქვორუმის პრობლემა არცერთხელ დამდგარა. საკრებულოში პოლიტიკური შემადგენლობა ფაქტობრივად არ შეცვლილა. დღეისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 28 დეპუტატითაა წარმოდგენილი, ევროპულ საქართველოს ერთი, ნაციონალურ მოძრაობას 3, პატრიოტთა ალიანსს ერთი, შენების მოძრაობას კი ორი დეპუტატი ჰყავს. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგჯერ ცალკეული დეპუტატების მხრიდან ადგილი აქვს საკრებულოს სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენას.

წარმოგიდგენთ მონაცემებს საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც 2020 წელს არ გამოცხადდნენ საკრებულოს სხდომებზე:

იანვარი -2 სხდომა არ გამოცხადდა 27 წევრი

თებერვალი - 1 სხდომა არ გამოცხადდა 10 წევრი

მარტი -3 სხდომა არ გამოცხადდა 3 წევრი

აპრილი - 1 სხდომა არ გამოცხადდა 13 წევრი

მაისი -1 სხდომა არ გამოცხადდა 5 წევრი

ივნისი - 1 სხდომა არ გამოცხადდა 6 წევრი

ივლისი - 2 სხდომა არ გამოცხადდა 2 წევრი
აგვისტო - 2 სხდომა არ გამოცხადდა 2 წევრი
სექტემბერი - 2 სხდომა არ გამოცხადდა 8 წევრი
ოქტომბერი - 2 სხდომა არ გამოცხადდა 2 წევრი
ნოემბერი - 4 სხდომა არ გამოცხადდა 8 წევრი
დეკემბერი - 1 სხდომა არ გამოცხადდა 16 წევრი

აპარატი

საკრებულოს აპარატი, რეგლამენტის შესაბამისად, შეუფერხებლად უწევს ორგანიზებას საკრებულოს სხდომებს, ფრაქციებისა და კომისიების მუშაობას.

აპარატში 11 თანამშრომელია, აქედან 5 შრომითი ხელშეკრულებით არის აყვანილი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს აპარატის ორგანიზებით ჩატარდა საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე 22 სხდომა და ბიუროს 28 სხდომა.

აპარატში რომელიც სრულად არის გადასული ელექტრონულ საქმისწარმოებაზე აღირიცხა და რეაგირება გაუკეთდა შემოსულ 299 წერილობით კორესპონდენციას, მათ შორისაა არასამთავრობო და ცალკეული უწყებებიდან შემოსული 200-მდე წერილობითი დოკუმენტი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე. ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში.

ბიუჯეტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი გასული წლის 19 დეკემბერს დავამტკიცეთ. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბიუჯეტი მერიას საკრებულოს წევრების შენიშვნებით დაუბრუნდა ნოემბრის თვეში. შენიშვნები ძირითადად გულისხმობდა სოციალური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობას. 2020 წლის ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსულობები 15.834.176 ლარით განისაზღვრა. საერთო ჯამში, ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ტრანსფერისა და გრანტების გათვალისწინებით დღეის მდგომარეობით ბიუჯეტის მოცულობამ 20.757.638 ლარს მიაღწია. 2020 წელს ბიუჯეტში მხარდაჭერილია: გაზრდილი სოც-პროგრამები, რეგიონული განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტები და მუნიციპალიტეტის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებები.

თავმჯდომარის პოზიციიდან, მაქსიმალურად ვცდილობ დაიზოგოს წარმომადგენლობითი ხარჯი, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, რომლის ოდენობა შეადგენდა 6000 ლარს, არცერთი ლარი არ დახარჯულა.

საანგარიშო პერიოდში საკრებულომ ბიუჯეტის სულ 10 ცვლილება განახორციელა.



ჯანდაცვა და სოციალური პროექტები

ადამიანის ჯანმრთელობა და მასზე ზრუნვა ერთ-ერთი პრიორიტეტია ჩვენი ხელისუფლებისათვის, სახელმწიფო ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან თანხას ხარჯავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. მუნიციპალიტეტმა გარკვეული მუშაობა გაწია ამ მიმართულებით. მოქმედებს 21 ქვეპროგრამა, აქედან 2-მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, 19-სოციალურ უზრუნველყოფას: პროგრამა რომელიც მოიცავს კვლევებს, ოპერაციებს, მედიკამენტებით დაფინანსება, განისაზღვრება 307 000- ათასი ლარით. რითაც ისარგებლა 610 ბენეფიციარმა.

შშმ-პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსისა და მომვლელის საჭიროებისათვის გახარჯულია 26 000 ათასი ლარი, მოსარგებლე 57 ბენეფიციარი.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამაში თანხა წლის დასაწყისში განისაზღვრა 60000 ლარით, ხოლო წლის განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად აღნიშნული თანხა გაიზარდა და შეადგინა 152 000 ლარი. ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს და წარმატებით ხორციელდება ლეიკემიის, დიალეზზე მყოფი პირების, მრავალშვილიანი, მარტოხელა, მარჩენალდაკარგულთა, სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

სტიქიის, კერძოდ წყალდიდობის შედეგად დაზარალებული სოფ. ლედვნის მოსახლეობისათვის დასახმარებლად დახარჯულია 91 345 ლარი. ხანძრისა და მეწყერის შედეგად დაზარალებულთათვის გაცემულია 40 600 ლარი. ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობისა და პანდემიის პირობებში, ა(ა)ი.პ სათნოების სახლიდან საკვები პროდუქტები გაიცა ორ ეტაპად: 70- წელს გადაცილებულ და მარტოხელა მოქალაქეებისათვის გაიხარჯა 6500 ლარი. აღნიშნული დახმარებით ისარგებლა სულ 200-მა ოჯახმა. 5 508 ლარი დაიხარჯა 102 მრავალშვილიან და სხვადასხვა კატეგორიის 60-მდე

მატერიალურად შეჭირვებულ ოჯახებზე. ამასთანავე, მინდა ავლიშნო, რომ ის სოციალური პროგრამები, რითაც ჩვენი მოსახლეობა სარგებლობს სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ერთ-ერთი საუკეთესო პაკეტებია.

მ/წელს გარემონტდა 4 ამბულატორია. ბატონი კობა ლურსმანაშვილის უშუალო ჩართულობით სოფელ ნადაბურში დაინიშნა ექთანი, რომლის დანიშვნას წლების განმავლობაში ითხოვდა სოფლის მოსახლეობა. აქვე მინდა დავამატო, რომ პანდემიის გამო საგარეუბნო მატარებლების მიმოსვლა ხუთი თვით იყო შეზღუდული, რაც მოსახლეობას დიდ პრობლემას უქმნიდა. ბატონი კობა ლურსმანაშვილისა და ბატონი პაატა კვიციანიძის ჩართულობით, პრობლემა მოხსნილია.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ, რომელიც აქტიურადაა ჩართული COVID_19 ის მართვაში, 1000-ზე მეტ ადამიანს ჩაუტარეს „პისიარ“-ტესტი. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დადასტურებულია აღნიშნული ვირუსის 309 შემთხვევა. აქედან 141 გამოჯამრთელებული, 5 გარდაცვლილი, 157 თვითიზოლაციაშია.



საქართველოს მთავრობის მიერ გრძელდება კომუნალური გადასახადების სუბსიდირებები, რომელიც 4 თვის განმავლობაში 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. სოციალურად დაუცველ სტუდენტებს დაუფინანსდებათ სწავლის საფასური, ასევე სწავლის საფასური დაუფინანსდება იმ სტუდენტებსაც, რომლებსაც თანხის გადაუხდელობის გამო შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი. პანდემიისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო, სახელმწიფომ 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი 200 ლარით დააფინანსა, რითაც ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 800-900 მდე ოჯახმა ისარგებლა.



მინდა შევეხო ადგილობრივი ხელისუფლების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ურთიერთობაა. ვინაიდან, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფუნქციებისა, თვითმმართველობის ეს ორივე რგოლი წარმოადგენს ერთიან ადგილობრივ ხელისუფლებას. მე როგორც ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს ხელმძღვანელი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ მომზადებული წინადადებების განხილვასა და საკრებულოს მიერ მათზე დაბალანსებული, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას. ამასთანავე, ყოველმხრივ ვცდილობდი, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შემეწყო თვითმმართველობის ორგანოების ჰარმონიული საქმიანობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის განხორციელებისთვის. მაგრამ სამწუხაროდ, ამ მხრივ აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან ზოგჯერ შემხვედრი ნაბიჯები არ იდგმებოდა. როგორც მოგეხსენებათ მიმდინარე წლის 24 ნოემბრიდან მუნიციპალიტეტს ჰყავს ახალი მერი და დარწმუნებული ვარ რომ თვითმმართველობის ორგანოები იმოქმედებენ როგორც ერთიანი ორგანიზმი და თვითმმართველობის ყოველი სტრუქტურა თუ თანამდებობის პირი მაქსიმალურად მიიღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში.



როგორც მოგეხსენებათ საკრებულოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს კონტროლის განხორციელება აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობასა და საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე. საკრებულომ გასულ წელს განიხილა და დაამტკიცა

რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებების ნუსხა. ამ მხრივ აღსანიშნავია და დასანანია ის ფაქტი, რომ აღმასრულებელმა ორგანომ არაეფექტური მუშაობის გამო ვერ უზრუნველყო მთავრობის მიერ გამოყოფილი ინფრასტრუქტურული ხარჯების სრულად ათვისება. საბიუჯეტო სახსრების დაბალი საკასო ათვისების გამო განუხორციელებელი დარჩა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები. ასევე ვერ ხერხდებოდა დაწყებული პროექტების დასრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, რის გამოც საკრებულოს მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურები.

ქვეყანაში გავრცელებული პანდემიის გამო მოსახლეობისათვის ყოფითი პრობლემების შემსუბუქების მიზნით, საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა რეკომენდაცია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემისა და ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დაფინანსების გაზრდის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულ იქნა და საბიუჯეტო თანხების გარკვეული ნაწილი მიიმართა აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად.

საკრებულომ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მოამზადა და მიიღო მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მთელი რიგი სამართლებრივი აქტები.

პირადი და საკრებულოს წევრთა ინიციატივები

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდები მოქალაქეებს, რომელთა უმეტესობა ჩვენამდე მოდის სოციალური პრობლემებით და ვცდილობთ შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ თითოეულ მათგანს. ამ მიზნით კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებთან პირადი კომუნიკაციის შედეგად 2020 წელს:

კომპანია „გალფი“ საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და საკვები პროდუქტებით დაეხმარა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8 შეჭირვებულ ოჯახს, რომლებსაც შეუძინეს მაცივრები, სარეცხი მანქანები და გადასცეს 400 ლარიანი ვაუჩერები.



ჩინურმა კომპანიამ F2-მა „Hunan Road and Bridge Construction Group“ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 87 ოჯახს გადაცა 90-ლარიანი საკვები პროდუქტები.



ჩინურმა კომპანიამ F3-მმა (China Road & Bridge Corporation), საკრებულოს წევრის ია პაქსაშვილის აქტიურობით და შუამდგომლობით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 42 ოჯახს გადაცა საკვები პროდუქტები.

ჩვენი აქტიურობითა და რკინიგზის 23-ე ბრიგადის (ჩინური კომპანია) მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 38 ოჯახს გადაეცა საკვები პროდუქტები.

ასევე, სოციალური პაუხმიგებლობა გამოიჩინეს ხარაგაულის კრედო ბანკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 20 ოჯახს გადასცეს საკვები პროდუქტები.



განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოკიდებულება და მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის ბავშვების მიმართ რომელსაც ახორციელებს კომპანია „ტკბილი ქვეყანის ხელმძღვანელობა. მათ ამ მიმე ჟამს ჩვენს პატარებს 300კგ. ტკბილეული გამოუგზავნეს.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო „ნინი და კომპანია“-ს რომელმაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებს და მოზარდებს სხვადასხვა დასახელების ტანსაცმელის გამოგზავნისათვის.



მიმდინარე წლის მაისის თვეში ჩავატარეთ აქცია „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე“ სადაც ბორითის თემიდან 150-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც გადასხმისათვის ვარგისი სისხლი აღმოაჩნდა 81 ადამიანს. გაღებული სისხლი, რომელიც სხვადასხვა დაავადების დროს საჭირო სისხლის მარაგის შექმნას მოხმარდება. რისთვისაც მადლობა მინდა ჩვენს მაცხოვრებლებს გადავუხადო ამ უანგარო დამოკიდებულებისათვის.



სოფ. საქასრიაში მცხოვრებ ომარ გრიგალაშვილს მაის-ივლისის თვეში ჩემი აქტიურობითა და შუამდგომლობის საფუძველზე ჩინურმა კომპანიამ ფ2-მა აუნაზღაურა მიყენებული ზიანი 3000 ლარის ოდენობით.

ასევე პირადი კომუნიკაციის შედეგად ჩინური კომპანია ფ2-ის მიერ აღდგენილ იქნა დაზიანებული წყლის სისტემა სოფელ ვაშლევში რისთვისაც დახარჯული იქნა 3500 ლარი.

ჩვენი ურთიერთკონტაქტების საფუძველზე ხარაგაულში მოქმედმა განათლებისა და ზრდასრულთა ცენტრმა პანდემიის პერიოდში საკრებულოს დეპუტატებისათვის გადმოგვცა 2000-მდე პირბადე.

ასევე 1000-მდე პირბადე გადმოგვცა ჩინურმა კომპანიამ ფ2-მა.



ჩემი ინიციატივითა და თბილისის მერის ბ-ნ კ.კალაძის მხარდაჭერით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოეცა 20-ადგილიანი მ/ავტობუსი.

ჩემი და ბატონი მერის, კობა ლურსმანაშვილის აქტიურობით მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 150 კუბ. საშუაშე მერქანი ხელმოკლე ოჯახებისათვის, რომლის ნაწილიც გადანაწილდა ტრასის ზონაზე 57 ოჯახისათვის.

ასევე, აღსანიშნავია საკრებულოს წევრების ბატონ, დ. კვიციანი, შ. ლურსმანაშვილის, ლ.აბაშიძის, რ.გიორგაძის, ვ. ჭიპაშვილის და სხვა დეპუტატების აქტიურობა პანდემიის პერიოდში ჩვენი მოსახლეობის დახმარების საქმეში.



სწორედაც რომ საკრებულოს წევრების დავით კიკნაძისა და ქ. ლენა აბაშიძის ინიციატივითა და აქტიურობით საფუძველი ჩაეყარა და დასრულდა სადანძილის, ვერტყვიქალის, გედსამანიის საბავშვო ბაღების მშენებლობა.

ასევე აღსანიშნავია საკრებულოს წევრის დავით კიკნაძის ინიციატივა და აქტიურობა სადანძილის საბავშვო ბაღის მშენებლობისა და სოფელ ღორეშაში საბავშვო ბაღის მეორე ჯგუფის გახსნის საქმეში.



ვერტყვიქალის საბავშვო ბაღი



გელსამანიის საბავშვო ბაღი



სალანძილის საბავშვო ბაღი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ



როგორც მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავარ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობაა - 29

საბჭოს წევრი ქალების რაოდენობა - 16

საბჭოს წევრი კაცების რაოდენობა - 13

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა შორის უზრუნველყოფილია გენდერული ბალანსი, 40% განსხვავებული სქესია.

2020 წლის 1 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2020 წლის სამოქმედო გეგმა და

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია.

2020 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ჩატარდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 3 სხდომა. პანდემიის პერიოდში სასურსათო მაღაზიებთან და აფთიაქებთან გაიკრა პლაკატები და დარიგდა ფლაერები გენდერული თანასწორობის თემაზე, ცხელი ხაზის შესახებ.

2018 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურ პროგრამებში გაწერილია მარტოხელა მშობლების დახმარება 200 ლარის ოდენობით(ერთჯერადად)

რაც შეეხება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებელ პროგრამას, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.)

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს „ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამით“ განსაზღვრული თანხის ათვისება არ მომხდარა მომართვიანობის არარსებობის გამო, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს საკმაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს და მსხვერპლის საჭიროებაზე ორიენტირებული მიდგომის საუკეთესო ილუსტრაციას.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში პანდემიის პერიოდში დამხარების გაცემა არ შეწყვეტილა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევითა და რესურსების გაერთიანებით, სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე სისტემატიური დიალოგით, მოსახლეობის ყველა ჯგუფის მხარდაჭერითა და გაძლიერებით. ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას საზოგადოებისათვის, ამ უფლების რეალიზებისათვის საკმარისი არ არის მისი მხოლოდ კანონით აღიარება-მნიშვნელოვანია, რომ ის ეფექტურად გამოიყენებოდეს ცხოვრებისეულ ყველა ასპექტში. ქალებსა და მამაკაცებს უფლება აქვთ, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა საკუთარი რეგიონის, მუნიციპალიტეტის და თემის მართვაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აქტივობებში. ქალები და მამაკაცები, შვილების გარდა, პასუხისმგებელნი არიან სხვა ადამიანებზედაც და რომ ამ პასუხისმგებლობამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მათ შესაძლებლობაზე, სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი სოციალური და ეკონომიკური ვალდებულებები. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დღეისათვის 64 მუნიციპალიტეტის მერიაშია დანიშნულია გენდერზე მომუშავე პასუხისმგებელი პირი. 58 მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, ხოლო 30 მუნიციპალიტეტში შექმნილია მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახი“. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა, საკუთარი ინიციატივით და მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა თანამშრომლებისათვის ტრენინგი, გენდერული თანასწორობის საკითხზე.



მოგახსენებთ, რომ ქალთა საინფორმაციო ცენტრი გერმანიის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ არსებული სიტუაციის კვლევა და მათი ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიის და გზამკვლევის მომზადება“. პროექტი საქართველოს მასშტაბით 10 მუნიციპალიტეტს შორის მიმდინარეობს მიზანია, და მათ შორისაა ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭო. აღნიშნული კითხვარის მიზანია, მუნიციპალიტეტში გატარებული ღონისძიებების შესაბამისად, შესწავლილ იქნას მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის განვითარებისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით და შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები. საკვლევი საკითხები:

- 1) მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირება;
- 2) მუნიციპალიტეტის გენდერული სტატისტიკა;
- 3) მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება;
- 4) გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირის სტატუსი და უფლება-მოვალეობები;
- 5) მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახის“ სტატუსი და სერვისები;
- 6) მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ადგილობრივ გენდერული პოლიტიკის განხორციელების პროცესში;
- 7) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები, პრაქტიკა და გამოწვევები;
- 8) მუნიციპალიტეტში ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და საჭიროებები.

ძირითადად გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი ეხება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების და მიზნების შესაბამისად აქტივობების დაგეგმვას. ასევე ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის და გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიახლეების გაცნობას, გენდერული საჭიროებების კვლევას იმ აიპების საქმიანობის მიხედვით, რომლებიც გარკვეულ მომსახურებას უწევენ(სპორტი, ცეკვა, სიმღერა) მოსწავლე ახალგაზრდობას. საქართველოს კანონით „ ბავშვთა უფლებათა კოდექსიდან“ გამომდინარე, რომელიც პარლამენტმა 2020 წლის მაისის თვეში დაამტკიცა, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში, შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაციის სამსახური, რომელიც განსაზღვრავს, ბავშვის უფლებების დაცვა, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ადგენს მუნიციპალური სოციალური პროგრამების მოსარგებლეთა რეესტრს , სადაც ზუსტად ჩანს რამდენი ქალი და კაცი ჰყავს ასაკობრივ ჭრილში მოსარგებლე სოციალურ პროგრამებს. ასევე საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემებს. საჯარო მოხელეთა სტატისტიკა. მუნიციპალური სოციალური პროგრამების მოსარგებლეთა სტატისტიკა. ვეტერანები, მარტოხელა მშობლები , მარჩენალდაკარგულები, უსახლკაროები, შშმ. პირები, მრავალშვილიანები, ხანდაზმულები;



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესრულებისას ვაწყდები დიდ სირთულეებს შესრულებისას,რადგან არის მცირე შესაძლებლობები, რესურსების ნაკლებობა, მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმას აქვს თავისი ბიუჯეტი, ის ჯერ კიდევ ფორმალურია და ვერ ვახდენთ მისი აქტივობების დასაგეგმად გამოყენებას. 2020 წლის ბიუჯეტში ვმუშაობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პროგრამებში(ახალგაზრდული, სპორტი, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა) ჩავდეთ თანხა გენდერული ხასიათის აქტივობებისთვის და ეს პრობლემა მეტ-ნაკლებას გადაჭრილი გვექნება. გენდერული თანასწორობის ჩვენ გვჭირდება მუდმივი კავშირი ძალასთან, რომელსაც მუდმივად ტონუსში ვეყოლებით, რეკომენდაციების

მიღებით, სწავლებით და თემასთან დაკავშირებული განათლების მიღებით . გენდერული თანასწორობის მიღწევა უწყვეტი პროცესია, და მას უწყვეტი მოქმედება სჭირდება.

პანდემიის პერიოდში გააქტიურდა ონლაინ მუშაობა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან, ონლაინ შეხვედრები, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებას და დახვეწას ითვალისწინებს.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, „ფონდი ტასო“, „ფონდი სოხუმი“, „ფერმერ ქალთა ასოციაცია“ , ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისთვის“ - ეს ის არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობით , ჩვენ ვცდილობთ გენდერული თანასწორობის, გენდერული ბიუჯეტირების , და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ.



21 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი ტასო“ წარმომადგენელს ცისანა გოდერძიშვილს და ხარაგაულის სოფელ თეთრაწყაროს ქალთა თვითდახმარების ჯგუფის ხელმძღვანელს ნინო გველესიანს. შეხვედრის მიზანი იყო, ქალთა თვითდახმარების ჯგუფის საქმიანობის გაცნობა. საუბარი შეეხო ასევე სოფელ თეთრაწყაროს, სასმელი წყლის პრობლემას, რომლის მოგვარებაზეც ქალთა ჯგუფი ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მუშაობს . შეხვედრაზე ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს და „ფონდი ტასოს“ მხრიდან გამოითქვა ორმხრივი თანამშრომლობის სურვილი , ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საქმიანობის გასაგრძელებლად.

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს , და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ქალთა თვითდახმარების ჯგუფის „იასამანის“ და ქალთა თვითდახმარების ჯგუფის „ნუნისის“ საქმიანობის პრეზენტაცია მოისმინეს, და იმ საჭიროებებზე იმსჯელეს , რომელიც სოფელ თეთრაწყაროში და პატარა

ხარაგაულში გამოკითხვის შედეგად დასახელდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ა/ო „ფონდი ტასო“ -ს წარმომადგენლები მარინა თაბუკაშვილი და ცისანა გოდერძიშვილი

დასრულდა 16 დღიანი კამპანია, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, რომელიც ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებაა. 1991 წლიდან დღემდე ეს კამპანია ყოველ წელს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, 25 ნოემბერს იწყება და 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღეს სრულდება.

მიუხედავად დიდი მცდელობისა და მონდომებისა ჯერ კიდევ ფორმალურია გენდერული საბჭოს როლი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით და რესურსების გაერთიანებით, სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე, სისტემატიური დიალოგით, მოსახლეობის ყველა ჯგუფის მხარდაჭერითა და გაძლიერებით.



